პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია:

სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“

დირექტორის # 09 04/03/2019წ ბრძანებით

**სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

# საავტომობილო გზების მშენებლობა

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

**მისამართი:** ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

**ტელეფონი:** T- ( 365 )2 2 11 03 ; T-599172005 ; (365) 2 2 17 41;

**ელ-ფოსტა:** Belaavalishvili@gmail.com

**ვებ გვერდი:** http://opizarivet.ge/

**პროგრამის ხელმძღვანელი: რევაზ სარაშვილი**

2019

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/Construction of Transport Infrastructure

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა** 07318-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში/ Basic Vocational Qualification in RoadConstruction

   აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია- კოდი 0732. აღმწერი - *„შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელისტრუქტურების (ასევემათიაღჭურვის) მონტაჟის, აგებისადატექნიკურიმომსახურებისმეცნიერებას, ტექნოლოგიებსადა ტექნიკას/მეთოდებს.*

**4.მიზანი:**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფს კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ გზების (საავტომობილო და სარკინიგზო) მშენებლობას, მომსახურებას.

**5.დაშვების წინაპირობა** -საბაზო განათლება.

-მინიმალური ასაკი 18 წელი

**6.დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

„**საავტომობილო გზების მშენებლობის**“კონცენტრაციის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება გზების მშენებლობასთან, რეაბილიტაციასა დ აექსპლუატაციასთან.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 42.1
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 9312

## 7.სტრუქტურა და მოდულები

„საავტომობილო გზების მშენებლობის“ გავლის შემდეგ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **79 კრედიტი**, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა - **99 კრედიტი**, რომელთაგან 14 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 47 კრედიტი არის კონცენტრაცია საავტომობილო გზების მშენებლობის მოდულები

და ერთ არჩევით მოდულს 5 კრედიტის მოცულობით.

„მოდულის, ,,ქართულიენა A2“ (15კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის,რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისუფლება მოიპოვეს„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ქართულ ენაზე ტესტირების გზით.აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

**პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

**ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:** 84 კრედიტი, 16 თვე
**არაქართულენოვან სტუდენტებისათვის: 99**კრედიტი, 18 თვე

| № | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1. | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2. | უცხოური ენა(ინგლისური) | 4 |
| 3. | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |

| | | |
|---|---|---|
| 4. | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 5. | მეწარმეობა 1 | 2 |
| | **ჯამი:** | **14** |

| № | საერთო პროფესიული მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1. | საინჟინრო გრაფიკა | 3 |
| 2. | გეოდეზიის საფუძვლები | 3 |
| 3. | გაცნობითი პრაქტიკა საგზაო მშენებლობაში | 2 |
| 4. | მიწის ვაკისის მოწყობა | 7 |
| 5. | მეტროლოგია | 3 |
| | **ჯამი:** | **18** |

| № | კონცენტრაცია - საავტომობილო გზების მშენებლობა | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | საავტომობილო გზების მშენებლის სამუშაო ადგილის/პროცესის ორგანიზება | 5 |
| 2 | უსაფრთხოს სამუშაოგარემოსუზრუნველყოფაგზებისმშენებლობისდროს | 4 |
| 3 | საგზაოსაფარისმოწყობა | 15 |
| 4 | არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია - რეაბილიტაცია | 12 |
| 5 | პრაქტიკული პროექტი საავტომობილო გზის მშენებლობაში | 11 |
| | **ჯამი:** | **47** |

| № | არჩევითი მოდულები - საავტომობილო გზების მშენებლობა | კრედიტი |
|---|---|---|
| 1 | საგზაო სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა | 5 |
| | **ჯამი:** | **5** |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა-სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

***საერთო სწავლის შედეგები ყველა კონცენტრაციისათვის:***

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ
2. აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები
3. დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები.

***სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „საავტომობილო გზების მშენებლობა“***

1. შეარჩიოს სამშენებლომასალები, ხელსაწყო – იარაღები და ინვენტარი
2. შეამოწმოს საგზაო საფარის მოწყობისთვის მიწის ვაკისის მზადყოფნა
3. შეასრულოს სამუშაოუბანზეასფალტობეტონისსაფარისმოწყობის სამუშაოები
4. შეასრულოს სამუშაოუბანზეცემენტობეტონისსაფარის მოწყობის სამუშაოები
5. შეასრულოს სამუშაოუბანზექვაფენილის მოწყობის სამუშაოები
6. მართოს საგზაომასალების ნარჩენები
7. გამოავლინოს არსებულისაავტომობილოგზებისდაზიანებულიუბნები
8. მონაწილეობა მიიღოს საავტომობილოგზებზემოძრაობისშეზღუდვისპროცესში
9. შეაკეთოს საავტომობილოგზებისსამოსის დაზიანებულიუბანი
10. გაუშვას ექსპლუატაციაში შეკეთებული უბანი.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

სსიპ კოლეჯმა „ოპიზარი“ ჩარჩო დოკუმენტის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა“ საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“, რომელიც ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროგრამის მოდულების კრედიტთა მოცულობის (79 კრედიტი) მოცულობის არა უმეტეს 20 %-ისა ე.ი. არჩევითი მოდული 5 კრედიტისრაოდენობით.

„საავტომობილო გზების მშენებლობის“ პროფესიული სპეციალიზაცისთვის შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის **66,5%** მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში შეფასდება ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. **კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „საავტომობილო გზების მშენებლობა“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ დუალურია და კვალიფიკაციის მინიჭების დამატებით პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.**

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**დანართი №1** - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

**დანართი №2** -სასწავლო გეგმა

**დანართი №3** – მოდულები:

- 3.1 ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- 3.2 ინფორმაციული წიგნიერება 1
- 3.3 მეწარმეობა 1
- 3.4 რაოდენობრივი წიგნიერება
- 3.5 უცხოური ენა (ინგლისური)
- 3.6 ქართული ენა A2
- 3.7 გაცნობითი პრაქტიკა საგზაო მშენებლობაში
- 3.8 გეოდეზიის საფუძვლები
- 3.9 მეტროლოგია
- 3.10 მიწის ვაკისის მოწყობა

3.11 საინჟინრო გრაფიკა
3.12 არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია
3.13 პრაქტიკული პროექტი საავტომობილო გზების მშენებლობაში
3.14 საავტომობილო გზების მშენებლის სამუშაოადგილის/პროცესის ორგანიზება
3.15 საგზაო საფარის მოწყობა
3.16 უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა გზების მშენებლობის დროს
3.17 საგზაო სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა

- **კოლეჯის პარტნიორები დუალური პროგრამის ფარგლებში**

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებულია საგზაო კომპანიებთან:

1. შპს „არალი“ ხელშეკრულება #69 10.08.2018 წ
2. შპს „მესხეთ ავტოგზა“ ხელშეკრულება #70 10.08.2018 წ
3. შპს„სამშენებლო სამმართველო“ ხელშეკრულება #2 #71 10.08.2018წ
4. შპს „ახალშენი“ხელშეკრულება #73 14.08.2018წ